

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ редакцію газ. „Просвѣта“.

ბაზმითის უასნი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., თხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# ქრონიკა

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე

უასნი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს დ. შამოკლოს დასაბეჭდოთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

### მორიგების პირობა

პეტერბურლი, 9 მარტს. „მმართველობის მოამბეში“ გამოცხადებულია მორიგების პირობა, რომელიც 29 მუხლისაგან შედგება. აი უმთავრესი მუხლები:

დაუმოკიდებლობა ჩერნოგორიისა, სერბიისა და რუმინიისა. ჩერნოგორიისა და სერბიის სამხლერები შესწორებული იქნება. რუმინია ომის ხარჯს მოსთხოვს ოსმალეთსა.

ბოლგარია შეიქნება სამთავროდ, რომელიც თვითონვე განაგებს თავის საქმეებს, ოსმალეთს კი მისცემს ყოველ წელიწადს ერთხელვე გადაჭრილ ხარჯს; იმას ეყოლება საკუთარი ჯარი, ბოლგარიის სამხლერებს დაადგენს რუსისა და ოსმალის კომისია; მანამ რუსის ჯარები რუმელიდამ არ გაეღწენ. ბოლგარიის მთავარს თვითონ ხალხი ამოირჩევს და, მეროპის სახელმწიფოების დათანხმებით ოსმალეთი დაამტკიცებს. მეროპის ხელმწიფეების შთამომავალი არ შეიძლება ბოლგარიის მთავრად აღირჩეს. ჩილიპოპოლში ანუ ტრნოვოში შეკრებილნი წარჩინებულნი პირნი ბოლგარიისა, ოსმალეთის და რუსეთის კომისარების თან-დასწებით, გადაწყვეტენ მომავალ მმართველობას წესს, რომლის სისრულეში მოყვანა რუსის კომისარს ექნება მინდობილი. შემდეგში უნდა გადაწყდეს—თუ რომდენი ხარკი უნდა აძლიოს წელიწადში ბოლგარიამ ოსმალეთს.

პორტამ უნდა შემოიღოს ძანდიის კუნძულზე 1868 წლის წესდება.

ამგვარივე სახელმწიფო წყობილობა უნდა დაარსდეს აგრეთვე შირში, მესსალიაში და მეროპის ოსმალეთის სხვა მხარეებშიაცა და სომხეთშიაც.

პორტა აპატიებს ყველა ოსმალის ქვეშევრდომებს, რომელთაც უღალატნიათ ამ ომის დროს.

ომის ხარჯი ოსმალეთმა უნდა გადახადოს: 900 მილიონი საკუთრივ ომის ხარჯი, 400 მილიონი ვაჭრობის ხარალისათვის, 100 მილიონი ძავეკასიის ზიანი და 10 მილიონი ოსმალეთში მცხოვრებ რუსების ზიანისათვის.

ამ ფულების ანგარიშში ოსმალეთი დაუთმობს რუსეთს: ტუღჩის სანჯაყს,

რომელსაც ბესარაბიაში გაუცვლის რუმინიას, არტანს, ბათუმს, შარსს და ბაიაზეთს.

ბოსფორისა და დარდანელის წყლები მუდამ განხილი იქნებიან სავაჭრო ხომალდებისათვის.

სამი თვის განმავლობაში რუსის არმია გამოვა მეროპის ოსმალეთიდან და ექვსი თვის განმავლობაში მცირე აზიიდან; ბოლგარიაში დარჩება 50,000 კაცი რუსის ჯარი. მორიგების პირობის ხელის-მოწერის შემდეგ ტყვეები შაიცვლებიან.

ლონდონი, 7 (19) მარტს. ბუშინ სამინისტრომ წარუდგინა პარლამენტს დიპლომატიური მიწერ-მოწერა საბერძნეთის შესახებ. ამ მიწერ-მოწერილამ სჩანს, რომ 23 თებერვალს საბერძნეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს ელიანუსს დეპეშა მიუწერია საბერძნეთის ელჩის ბენარეუსისთვის ლონდონში და გამოუცხადებია სურვილი, რომ საბერძნეთის წარმომადგენელიც დაესწროს მომავალს კონგრესსზე. ღერბის უცნობებია ბენარეუსისთვის, რომ საბერძნეთის სურვილი იმას კანონიერად მიაჩნია და ამ წინადადებას მეროპის უმთავრესს სახელმწიფოებს აცნობებს.

პეტერბურლის ბირჟა, 9 მარტს: მან. კაპ.

ლონდონი	—	—	25 1/2	”	”
ამსტერდამი	—	—	129	”	”
ჰამბურგი	—	—	217	”	”
პარიჟი	—	—	267	”	”
შინაგანი სესხის ბილეთები 5 <sup>0</sup>					
პირველი სესხის	—	—	229	—	50
მეორე სესხის	—	—	226	—	”
ბანკის ბილეთები:					
პირველი გამოცემის	—	—	95	—	60
მეორესი	—	—	95	—	25
მესამესი	—	—	95	—	”
მეოთხესი	—	—	95	—	12
აღმოსავლეთის	—	—	93	—	40
ოქრო, 1/2 იმპერიული	—	—	7	—	78

## საქართველო

ჯერ, სანამ რუსეთსა და ოსმალეთსა შუა მორიგების პირობები არ დამტკიცებულა და ოფიციალურად არ გამოცხადებულა, ჩვენ, რასაკვირველია, ნამდვილათა და დაბეჯითებით ვერ ვიტყვი—თუ რა-და-რა მაზრები და რა სამხლერებში დარჩება რუსეთს, ამ მორიგების პირობის ძალით, მცირე აზიაში.

მაგრამ უცხო ქვეყნის გაზეთები, რომელნიც ყოველ ამბავს, იმისთანასაც კი, რომელიც ყველაზე უფრო ჩვენ შეგვესება და სხვებზე ადრე ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ეს უცხო ქვეყნის გაზეთები გეარწმუნებენ, რომ რუსეთი მეროპაში შეიძენს მხოლოდ ლობრუჯუში (რუმინიას გაუცვლის ბესარაბიაში) და ჩვენქემცირე აზიისაკენ კი ბაიაზეთს, შარსსა და ბათუმს თავის მაზრებით.

სამხლერებსაც გვეუბნებიან: ახალი სამხლერო რუსეთისა სამხრეთით ბაიაზეთიდან დაიწყებაო, შემდეგ ალაშქერთან გაივლის დასავლეთით, სოლანლულის ქედით ოლთისამდინ, მერე მდ. ჩოროხი და ამის მოყოლებით ბათუმამდინ.

თუ ეს სამხლერები დაახლოებით მაინც მართალია, რუსეთის სამხლერში დარჩება, სამხრეთიდან რა დავიწყეთ, შემდეგი ქალაქები: ბაიაზეთი, ალაშქრეთი, შალიშმანი, შარსი, ოლთისი, არტანი, არღანუჯი; შემდეგ მაზრები: ჩილდირი, შავშეთი, დიდი და პატარა აჭარა და შობულეთი.

როგორც ჰხედავთ, ლაზისტანიც სამხლერებში არ არის მოტყეული, ის ისევ ოსმალეთს დარჩებაო, ამბობენ.

მაშასადამე ეს უკანასკნელი მაზრები: ჩილდირი, შავშეთი, აჭარა და შობულეთი, რომელნიც ერთ დროს საქართველოს ნაწილს შეადგენდნენ, ახლა ისევ ამ საქართველოსვე უბრუნდებიან. ისტორიკოსები და მოგზაურები ამბობენ, რომ აქას გარდა საქართველოს ეკუთვნოდნო და ქართველი ხალხით დასახლებული იყოო მთელი ლაზისტანი ბაიბურთამდინ; მაგრამ ეს მაზრა ახლა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ისევ ოსმალეთს რჩება.

ჩვენ, რუსის ქართველები, თითქმის სრულებით არ ვიცნობთ ამ ახლად ჩვენს უბეში დაბრუნებულ მოძველებს. მცირე მხოლოდ, რომ ყველა ესენი გამაჰმადიანებულები არიან, რომ მომეტებულ ნა-

წილს ამოთვანს ძველი საქართველოს ხასიათი და ჩვეულებიანი ჯერაც არ დაიწყინათ და ასრულებენ, ვიცით, რომ ზოგან იმათ თავიანთი სამშობლო — ქართული ენა ჯერაც არ დაკარგვიათ, და სხვა არაფერი.

იმათ ქვეყანას, იმათ ახლად, ოსმალეზის ხელში, შექმნილ ჩვეულებებსა და ხასიათებს, იმათ ოჯახობას, მეურნეობას, წარმოებას, იმათ პოლიტიკურ მიმართულებას, ზნეობას და შეხედულებას სხვადასხვა საგნებზე, იმათ გონებით გახსნას, იმათ სახალხო პოეზიას და სხვ. და სხვ. ჩვენ სრულებით ვერ ვიცნობთ.

ახლა ეს დიდი ხნით ჩვენგან მოშორებული მოძმეები ხელ-ახლად შემოგვიერთდებიან. მაგრამ რა მოძმეები იქნებიან, რა შემოერთება იქნება, თუ ჩვენ იმათ ვერ ვიცნობთ და ისინი ჩვენ ვერ გვიცნობენ? რა მოძმეები იქნებიან, თუ იმათას ჩვენ ათმა ერთს გავიგებთ და ისინი ჩვენსას? როგორი შეერთება იქნება, თუ ისინი ჩვენ ვერ გვიცნობენ და ჩვენ იმათ?

ამიტომაც ჩვენი სამღვთო მოვათეობა არის, რომ კარგათ გავიცნოთ ეს ახლად-შემოერთებული ჩვენი თანამოძმეები და იმათაც გავცნოთ ჩვენი თავი. შამისოთ ჩვენს შორის ერთობა და ნამდვილი ძმობა, ერთი ხალხის-შვილობა თავის დღეში არ ჩამოვარდება. როგორი ერთის საქართველოს შვილინი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთის ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება?

მიმეორებით: ჩვენს სამღვთო მოვალეობას შეადგენს, რომ ისინი გავიცნოთ და ჩვენი თავი იმათაც გავაცნოთ. თუ როგორ უნდა მოხდეს ეს გაცნობა — ამაზე შემდეგში მოვილაპარაკებთ.

ს მ.

დღიური

\* \* \* ბასულ ორშაბათს, 6 მარტს, იყო სხდომა ჩვენის ქალაქის რჩევისა. მის ყურადღების ღირსსა საგანზე მოილაპარაკეს პირუტყვის საკლავ ადგილზე და უფ. ა. ზუბალოვის წინადადებაზედ, რომ დღეის შემდეგ მიცვალებულები არც ეკლესიებში და არც ეკლესიების გალავნებში არ დამარხონო.

პირველი საგნის შესახებ რჩევამ გადაწყვიტა, რომ პირუტყვის საკლავად მესხბუეებს დაუნიშნოს ადგილი მაჟუკას სოფელში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ახლაც შეუდგეს ბაჰეობა, რომ იქ ამისთვის სახლები ააშენოს.

მეორე საგნის შესახებ, კრებამ მიიღო ხმოვანის ა. ზუბალოვის წინადადება და გადაწყვიტა, სახოვოს მმართველობას, რომ იმან აღუკრძალოს ეკლესიებში და იმათ გალავნებში მიცვალებულების დასაფლავება.

\* \* \* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ახლად გამართლებული სასამართლოსაგან ნ. ჩქორტუაძალიან ავით არისო, ტყინის ანთება აქვსო.

\* \* \* ბაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია ბიბლიოგრაფიული შენიშნვა ერთს ინგლისურს წიგნზე, რომელიც ამ უკანასკნელ დროს გამოსულა ლონდონში და რომელიც ჩვენს ქვეყანას შეეხება. წიგნს ჰქვიათ სახელად „ქავკასია და პარატი“; ის დაუწერია ერთს ინგლისელს ჯემს ბრაისს, რომელსაც დაუვლია ქავკასია, დაუთვალა ირგებია ჩვენი ქვეყანა და ხალხი და რომელიც ასულა პარატიის მთაზედ.

ჩვენს ქვეყანაზედ ჯემს ბრაისი, სხვათა შორის, ამბობს, რომ „რუსეთის სამფლობელო ქვეყნებში ქავკასია თავის ბუნებით სიმდიდრითა და გეოგრაფიული მდებარეობით ყველაზედ უფრო შესანიშნავიაო.“

\* \* \* ბაზეთს „მშაკში“ იწერებიან ბაქალამ, ერთ იქაურ მდიდარ სომეხს უფ. სერბიგვიანცს ოც-და-ხუთი ათასი მანეთი შეუწირავს, 14,000 მანეთი სამზღვარ გარეთ ყმაწვილების გასაზრდელად და დანარჩენი აქაურ სასწავლებლების სასარგებლოდ.

„დროის“ კორესპონდენცია

ზაქათალა, 3 მარტს. ზაქათალის მაზრა არის შემკობილი მრავალის ყურძნის ვენახებით, რომლებს შემოსავალი მამულის პატრონებს აქომამდე თითქმის ამათ მიდიოდათ; რაც მოსდიოდათ მცხოვრებლებს, სულ თითონ ხმარობდნენ და ძრიელ ცოტას ჰყიდდნენ ღვინოს ანუ ქაბებში ნაღულს არაყს.

ახლა კი, როგორც თვითონ მემამულეები ამბობენ, ძრიელ დიდი სარგებლობა აქეთ. თურმე ამ აქციის წინათ, შვიდ მანეთზედ ზევით არ გაყიდულა ზაქათალის მაზრაში ღვინო თალარი (ქაუთრი თალარი არის თხუთმეტი რუსული ვედრო) და ეხლა ოც მანეთზედ ნაკლებ არა ჰყიდიათ. მისაც უნდა ევნახის პატრონს, ყურძნათ ჰყიდის და ვისაც არ უნდა, ღვინოებს აყენებს და იმას ცალკე ჰყიდის, ჰაჰასა და ღვინის დანარჩენ თხლეს კიდევ ცალკე.

ზაქათალის მაზრის სოფლებში არის არაყის გამოსახდელი ზავოლები (ქარხნები) ოცზედ მეტი და ერთიც ორთქლის სპირტის ზავოლი, რომლებიც ყიდულობენ მამულის პატრონებიდან ვენახების პირსა და ჰაჰა-თხლეს და ხლიან არაყს. ეს შემოსხსენებული მეზაოდები არიან სომხები, მოსულნი სხვადასხვა ქალაქებიდან: თფილისიდან, სიღნაღიდან, თელავიდან, ნუხიდან, აქულისიდან და შარაბალიდან. ეს მეზავოლები ყიდულობენ მამულის პატრონებიდან ვენახის პირებს, (წიგულ ათ თუმანი ვენახში აძლევენ ოც-და-ათ თუმანს), ალაგის ქირას აძლევენ, მუშებს ქირაობენ, სასმელ-საჭმელი იმათი, ყიდულობენ შუშა, ამათანავე იმოდენა აქციზსაც აძლევენ და კიდევ დიდი სარგებლობა აქეთ.

რომ სარგებლობა არა ჰქონდეთ მეზავოლებს, სომეხი კაცი შინიდან არ დაიძვრის.

შეიძლება ეს შემოსხსენებული სარგებლობა და ფული დატრიოდეს ისევ მამულის პატრონებთან; ყოველ ზაქათალის მაზრის სოფელში იპოვება რამდენიმე გაკეთებული კაცები ინგილონი, რომლებსაც შეუძლიანთ იყიდონ ორმოც-და-ათ ვედრიანი გამოსახდელი ქვებები და ხაღონ თავიანთის მეზობლების ჰაჰა-თხლე და მისცენ აქციზი. ამით ექნებათ დიდი სარგებლობა, რადგანაც თითონ მამულის პატრონები არიან, შეშას არ იყიდიან, ალაგის ქირას არ მისცემენ და თვითონვე შეუძლიანთ მუშაობა თავიანთ მამულებში..

მსე რომ მოიქცნენ ზაქათალის მაზრის მცხოვრებნი, მაშინ, რაც სარგებლობა ახლა სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან მოსულ სომხებსა აქეთ, ყველა ისევ იმათ ხელში დარჩება. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ხალხს გზის მაჩვენებელი და ჩამგონებელი არაინა ჰყავს.


ზაქათალელი

ომის აზებუი

შერიგების თაობაზე

„ქელნის ზაზეთში“ დაბეჭდილი დაწერილებითი შერიგების პირობები რუსეთსა და ოსმალეთს შუა. აქ მოგვყავს ზოგიერთი მუხლები ამ პირობებისა:

- 1) დაუმოკლებლობა ჩერნოგორიის ამას მიეცემა ანტივარი.
- 2) სერბიის დაუმოკლებლობა; იმას დარჩება ნიში, მდ. ღრინის გასავალი და პატარა-ზვორნიკი.
- 3) რუმინიის დაუმოკლებლობა; ომის ხარჯის გადახდა გადაწყვეტილი იქნება რუმინისა და ოსმალეთს შუა ცალკე პირობით. რუმინიის ქვეშევრდომებს ექნებათ ისეთივე უფლება ოსმალეთში, როგორიც სხვა ქვეყნების ქვეშევრდომებს.
- 4) ბულგარიის სამზღვარი გატანილი იქნება კომისიით, რომელიც შესდგება ოსმალეთის და რუსეთის წარმომადგენლებისაგან.
- 5) ბულგარიის მთავარი ამოიჩჩევა თითონ ხალხისგან ოსმალეთის მთავრობის დამტკიცებით და უჩაღლეს სახელმწიფოების დათანხმებით; არც ერთი მეროპის ხელმწიფის შთამომავალი არ იქნება ამორჩეული ბულგარიის მთავრად. სახალხო კრება შეიკრიბება ტირნოვოში და ფილიპოპოლში მოსალაპარაკებლათ. ეს კრება შესდგება მთავარის ამორჩევის წინათ, რუსისა და ოსმალის კომისიის ზედამხედველობით. დაწესება ახალი მმართველობისა მინდომილი ექნება ორი წლის განმავლობაში რუსის ელჩს. პირველი წლის შემდეგ სხვა მმართველობის წარმომადგენლებსაც შეუძლიანთ ამ საქმეში მიიღონ მონაწილეობა, თუ საჭიროთ დაინახავენ.



6) რუსის ჯარი მიატოვეს ბულგარიაში; ყველა სიმაგრეები უნდა დაიქცეს ხალხის ხარჯით. სანამ ბულგარია შეადგენს თავის საკუთარ მილიციას, იქ დარჩება შემდეგი რიცხვი რუსის ჯარისა: 6 დივიზია ქვეითთა ჯარი და 2 დივიზია ცხენოსანი, სულ 50 ათასი კაცი. ეს ჯარი ბულგარიის ხარჯით იქნება შენახული.

7) ბოლგარია გარდობის ხარჯს რუსეთის, ოსმალეთის და სხვა სახელმწიფოების გადაწყვეტილობით.

8) ოსმალეთის ქვეშევრდომებს, რომელნიც დასახლებული არიან ბულგარიაში, შერჩებათ თავიანთი მამული და უფლება, როგორც სხვა ქვეყნის ქვეშევრდომებს.

მგრეთვე იქნება სერბიაშიც.

9) ლუნაია სიმაგრეები სულ უნდა დაინგრეს და აკრძალული იქნება აშენება რომელიმე სიმაგრისა ლუნაიზე. სამხედრო ხომალდებს აღარ შეეძლებათ სიარული ამ მდინარეზე.

10) ოსმალეთის მმართველობა გახსნის სულინის არხს.

11) ლაუკონებლივ უნდა მოახდინოს ოსმალეთმა სხვა-და-სხვა ცვლილება ბოსნიაში და ჰერცეგოვინაში, რუსეთისა და ავსტრიის თანხმობით.

12) ძანდიაში დაწესდება 1868 წლის წესები.

ამ გვარივე წესები იქნება მპირში და მესალიაში. ზანსაკუთრებული კომისია იქნება შედგენილი, რომ კარგა შეამუშავონ ეს წესები. ეს კომისია თავის მუშაობას წარუდგენს პორტას და ის რუსეთის თანხმობით შემოიღებს ამ ქვეყნებში.

13) სომხეთში მოხდება მმართველობის ცვლილება ადგილობრივ საჭიროების-და-გვართ; ხალხი დაცული უნდა იქნეს ჩერქეზებისა და ქურთებისაგან.

14) ყველა ოსმალეთის ქვეშევრდომს, რომელთაც ამ ომში უღალატეს მთავრობას, სრული ამნისტია (პატიობა) მიენიჭება.

15) კონტრიბუცია, ომის ხარჯი, გადახდება ოსმალეთს 1,410 მილიონი მანეთი; ამაში 900 მილიონი საკუთრივ ომის ხარჯის, 400 მილიონი ვაჭრობის ზიანისათვის, 100 მილ. ძველისის აჯანყებისათვის და 10 მილ. იმ რუსეთის ქვეშევრდომებისათვის, რომელთაც ოსმალეთში იზარალეს.

16) რადგან ფულის მხრით ოსმალეთი შევიწროებულია; ამისათვის, სულთანის თანხმობით, რუსეთს მიეცემა ტულჩას სანჯაყი, ბესარაბიაში გასაცვლელად, ამას გარდა არტანის, შარსის, ბათუმის და ბიაზეთის საღანლი-ღალამდინ.

17) ათონის მთის ბერებსაც ძველი უპირატესობა და უფლება დარჩებათ.

18) რუსის ჯარი გამოვა ოსმალეთიდან სამ თვეში: ერთი ნაწილი შავი ზღვის ნაესადგურებიდან ხომალდებით, მეორე მარმარილოს ზღვით და მესამე ნაწილი ტრაპიზონიდან.

19) ოსმალეთი აძლევს პირობას არ შეეხოს იმ ოსმალებს, რომელთაც ჰქონდათ დამოკიდებულება და კავშირი რუსეთის ჯართან.

20) ტყვეების გაცვლა მოხდება მაშინ, როდესაც ორივე მხარე ხელს მოაწერს ამ შერიგების პირობებზე.

21) ამ შერიგების პირობებზე ორთავე მხარემ 15 დღეში უნდა მოაწერონ ხელი პეტერბურგში.

უსხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ მომავალ ბერლინის კონგრესზედ რუსეთის წარმომადგენლად ღენ. იგნატიევი იქნება დანიშნული.

ზაზეთის „Daily News“-ის პეტერბურგელი კორრესპონდენტი იწერება 25 თებერვალს:

„მრთს აქაურს გაზეთში დაბეჭდილი იყო სტამბოლიდან მიღებული დეპეშა, რომელშიაც სხვათა შორის ეწერა, რომ რუსეთი 5 მილიარდს კონტრიბუციას (ომის ხარჯს) მიიღებს ოსმალეთისგან და ეს ფული რუსეთმა იმ გადასახადისაგან უნდა აიღოს, რომელიც ბოლგარიამ მუდამ წელს უნდა აძლიოს ოსმალეთსაო.“

„მე შემოდლიან დაგარწმუნოთ, რომ ეს ამავე ტყვილია; რუსეთი მხოლოდ 300 მილიონს კონტრიბუციას სთხოვს ოსმალეთსა და ეს ფულებით სრულებით ბოლგარიის შემოსავლიდან არ უნდა აიღოს.“

„ქელნის ზაზეთის“ სიტყვით, ბოლგარიის მთავრად ბერმანიის სტამბოლელ ელჩს პრინც რეისს უპირებენ ამორჩევას.

ბელგიური გაზეთი „Indépen. Belge“ კვაცობებს, რომ ოსმალეთის ზღვებში იმყოფებაო ამ ქამად სულ თექვსმეტი ჯავშნიანი ხომალდი ინგლისისა, რომელთაც უფროსები არიან ერთი ვიცე-ადმირალი და სამი კონტრ-ადმირალი. ამათ გარდა ამავე ზღვებში არის 15-მდინ უბრალო ხომალდები და ცეცხლის გემები. ყველა ამ ხომალდებზე ინგლისს ჰყავს ათი ათასი ჯარი და მატროსები.

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია 1 მარტს ბუხარესტიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ რუსეთის უცხო ქვეყნის მინისტრს პოგალნიჩანუს გაუგზავნია მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებისათვის ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ რუსეთი ვერ დათანხმდება იმ მორიგების პირობებზე, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შეუკრავთ სან-სტეფანოში, რუსეთი თავის ნებით არ დაუთმობს რუსეთს ბესარაბიას.

ზაზეთს „Голосъ“-ში იწერებიან: „რუსის სამხედრო საინისტროში მოლაპარაკება არის ამ ქამად ამ ომის სასოფრად ახალი მედალის ჩამოსწავლად. ეს მედალი, როგორც ამბობენ, სამ-გვარი

იქნება: ოქროსი, ვერცხლისა და თითბრის. ოქროს მედალს დაუტოვებენა იმ აფიცრებს, რომელთაც ამ ომის განმავლობაში რომელსამე ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა, აგრეთვე ბიაზეთის და შიპკოს გარნიზონებს და ყველა იმათ, ვინც ბალკანის მთებზე გადაიარა ზამთარში; ვერცხლისა და თითბრის მედალს კი ყველას, ვინც გაყვანილი იყვნენ ბრძოლის ველზე, მაგრამ რომელნიც თვითონ ბრძოლაში არ დასწრებულან.

„ამ მედალზე ერთის მხრით გამოხატული იქნება ჯვარი ნახევარ-მთვარის შემოდამ და მეორე მხრით რიცხვი ომის დაწყებისა და მორიგების შეკერისა, ე. ი. 12 აპრილი 1877—19 თებერვალი 1877.“

რუსის ოფიციალური გაზეთი „Agence Russe“ ამბობს, რომ ამ მარტის დამლევადინ უეჭველად შეიკრიბება ბერლინში მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებთა წარმომადგენლების კონგრესი; რუსეთი, ავსტრია, ბერმანია, და იტალია უკვე დათანხმდნენ ამ საგნის შესახებ; მხოლოდ ინგლისისაგან მოელოან ახლა პასუხსაო.

**წერილი რედაქტორთან**

გასრულს 1877 წელში მუთაისის ღუბერნიის თავად-აზნაურთ რიცხვში იყო გამოყვანილი ჩვენი სამეგრელოს ორის უეზლის—ზუგდიდის და სენაკის—თავად-აზნაურობაც, რომლებთაგან შედგა მესამე ცხენოსნის დივიზია კეთილ-შობილთ პოლკისა.

როგორც საზოგადოთ მთელი ჩვენი თავად-აზნაურობა, აგრეთვე სამეგრელოსიც გამოსრულნი იყვნენ თავიანთ ნებით მხოლოთ ერთის მმართველობის მოწვევით.

ზამოხვლისა-თანავე ამათ ჰქონდათ მტერთან შეტაკება. იქმნება არ იცოდეთ, თუ რით დაიმსახურეს მათ და გაამართლეს ჩვეულებრივი წინაპართაგან მომდინარე ერთგულება და მხნეობის სახელი, ამისათვის, თუმცა გვიან არის, მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას:

ჩვენი კეთილ-შობილთ მილიცია როგორც სოხუმის ალების დროს, აგრეთვე სხვა-და-სხვა შემთხვევებშიდაც ასრულებდა სამსახურს წრფელის გულით. მუშაც ცხენოსანი და ქვევითი ჯარი განიჩევიან ჩხუბის დროს თავ-თავის მოქმედებით, მაგრამ ამათთვის სულ ერთი იყო: თავიანთი რუსეთის ბრძოლით ასრულებდნენ ორივე ნაწილის მოვალეობას.

ამიტომაც ბერნი მათგანი დარჩა ბრძოლის ველზედ და საუკუნოდ გამოეთხოვა ამ ქვეყანას. მაგრამ შრომა და თავ-განწირულობა გამოუღვგარი მანაც არ ყოფილა იმ საქმისთვის, რომლისთვისაც ისინი იყვნენ გაგზავნილნი. მხლა რამდენიმე სიტყვა ამ დივიზიების მდგომარეობაზედაც:

ნათქვამია: „მოყვარე-მტერი ყოველისა

მტრისგან უფრო მტერია. ჩვენს დივიზიასაც ასე მოუვიდა: იმას ყველა თავიკამანდირი—მათივე ამხანაგი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დივიზიონერების ყოველი საჭიროების დაკმაყოფილება. მათავიკაცი იყო ზოგის მეგობარი, ზოგის ნათესავი და ზოგის მეზობელი და დაახლოებული ნაცნობი; ესე იყო, სანამ იმის დაიწყებოდა და ამას უფროსობა მიენდობოდა.

დღეს კი ეს ჩვენი მოყვარე გარემო მტერზე უარესი შეგვექნა. მისი მოწყალებით ჩვენი დივიზიის ერთგულობა და თავგანწირული სამსახური უხმოდ დარჩა. მამანდირს ხვედრი ჯაშაგირის მთხოვნელები, რომელნიც როგორც დღისით ზუსტ ფრინველები, ისე ეხვეოდნენ, ჭირივით სძულდა და უშევრის სიტყვებით ლანძღვდა; დივიზიონერებთ შორის სთესავდა შურს და უკმაყოფილებას.

სამწუხაროდ, ამისთანა მაგალითები სხვა დივიზიონებშიაც იყო, სხვებაც უჩივოდნენ და უჩივიან თავიანთ უფროსებს.

და მამო რად გაგიკვირდებათ ამის შემდეგ, უფ. რედაქტორო, რომ ამგვარი მაგალითების დამნაშავე ხალხი შემდეგში ისეთის გულმსურველებით არ ვავიდეს ბრძოლის ველზე და ისეთის თავგანწირულებით არ იომოს, როგორც საზოგადოთ ქართველთ ტომის ხალხს სჩვევიათ?

მთი დივიზიონერთაგანი  
სოფ. ბორღი, 2 მარტს.

**თფილისის სამკურნალო**

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, წინამძღვროვის სახლებში ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მრ შ ა ბ ა თ ს ; ექიმი მინკვიჩი—ხირურგიულ ავთამყოფობისათვის, მარალევიჩი და ლინიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვიდი და მაკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამამშვიდი—ფალოს ექიმი.

მ თ ს შ ა ბ თ ს : ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მიუჩარინცი—ვენერიული ავთამყოფობისათვის,

ხ თ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვიდი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს : ლისიცივი და მასტუროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის და ხირურგიული.

შ ა ბ ა თ ს : მერმიშვიდი და მაკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის, მიუჩარინცი—ყურის და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და მამამშვიდი—ფალოს ავთამყოფობისათვის.

**ახალი ტაქსა გირჰის იზომსჩიკებისა**

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვედამდანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

მრთი გზა . . . . .	40 კაბ.	25 კაბ.
საათი . . . . .	80 ”	55 ”
ქალაქიდან--ნეთელულს	80 ”	50 ”
— მუშტაიდან --	60 ”	45 ”
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 ”	90 ”
რკ. გზიდან ნეთ.—2	— ”	1 მან. 50 ”
— დამოქმადინ—1	50 ”	1 ”
— ქალაქ. ყველგან 1	— ”	70 ”
რკ. გზამდინ ქალაქ.—	80 ”	50 ”
— ნეთელულიდან 1	50 ”	1 ”
რკინის გზამდინ და		
უკან — — — 1	30 ”	90 ”

შ ე ნ ი შ ნ ე ა ბ). მრ ფუთამდინ ბოგაქისათვის იზომსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.  
შ ე ნ ი შ ნ ე ა ბ). ნაშუალანევის ტაქ-

სა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა 60 კაბ., საათის 1 მან. და 20 კაბ., დროცის—40 კაბ. და საათის—80 კაბ.

**განცხადებანი**

მუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიზლილ-თეაში ისჯილება:

- 1) დედა მან, ი ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
- 3) ცოლი ვიტირო, თუ უშლი? კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაბ.
- 4) მუშხვის ტაქსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაბ.
- 5) მუშა ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაბ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

(5—2)

**თმსლები**

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლად მიღებული საწვლვარ გარეთიდან ისჯილება ქაქასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან ლარშმსთან, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

(10—3)

Желают арендовать несколько десятков десятины пахатной земли близ Поти-Тифл. желѣзной дороги.

Адресъ Куки: Реутовская улица № 39 (3—3)

სტუდენტს ჰსუსს აქლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაბ	ბირჰა	მან. კაბ	გაყანდა	მან. კაბ
თფილისი .	9 21	5 18			მცოი სიტყვა თფილისიდან:		პეტერბურგი, 9 მარტს.		თფილისი, 9 მარტი.	
მცხეთა . . .	10 11	6 27	68	38	ქუთაისს, შოთს . . .	1 —	მრთი ანგეი ლირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 50
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ლონდონში 25 კუნსი.		შქვილი წითელი . . .	1 30
ხაშური . . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსს, მოსკოვს	2 —	პარიჰში 267 სანტიმი.		მერი ფუთი . . . . .	1 30
სურამი . . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავს . . .	2 —	მსკონტი(სარგებლისფასი)	62	ბამბა მრეწვისა, ფუთი .	6 —
შვირილა . .	5 49		5 81	3 23	მსმაღეთში, შვეიცარიაში	3 —	ბანკის ბილეთი 5%	71	— ამერიკისა, ფუთი . . .	7 —
რიონი . . .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	მოგვიბანი(პირველად . . .	95	ბაჰენტილი ბამბა ფუთი.	10 —
სამტრედია .	7 41		7 73	4 29	ინგლისში . . . . .	3 75	მოგიბონა (მეორე ხესხი)	229 75	მატყული თუშური ფთ.	8 20
ახ.-სენაკი .	—		8 57	4 76	<b>ფოშტა</b>		ბირაოს ფურცლები:	226	— მარაქამისა ფთ. . . . .	4 50
შოთი . . . . .	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		ფილ. სახზ. ბანკისა.		აბრეშუმი ნუბური სტ.	2 —
შოთი . . . . .	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ხერსონის ბანკი	83 25	ძონი, ფუთი . . . . .	6 50
ახ.-სენაკი .	—		1 18	66	მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს—		მოსკოვის . . . . .	83 50	ძონის სანთელი ფუთი.	8 —
სამტრედია .	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		მქრო 1/2 იმპერიალი, . . .	7 78	სტეარინის სანთელი, ფ.	13 40
რიონი . . .	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—		ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8
შვირილა . .	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—		ოქდესის სავაჭრო ბანკის	177	— ცხვისა, ლიტრა . . .	1 8
სურამი . . .	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, გრადუსი . . .	14
ხაშური . . .	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაბ.	შავი ზღვის ცეცხ. გამეფრ	527	შაქარი, ბროც. ფუთი .	7 70
ბორი . . . .	7 5	4 8	3 6	4 9	და სამზღვარ გარეთ:		ქაქაზის და მერკუროს	225	— ფხენილი ფუთი . . .	6 50
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 8	5 4	ლი წიგნის . . . . .	4	პირგ. საზღვევ. საზ.	745 50	შავა გრგვალი, გირგ.	70
თფილისი .	9 31	7 56	9 75	5 42	დ. ბეჭდილის (სანი მისხალი) .	8	პეტერბ. საზღვევ. საზ.	235 50	შოთი ქუნჯულისა ფუთ.	12 —
							მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	მამაქო, საშუალო ფუთი	7 78